შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№46 (9.660)

6-13 დეკემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

განათლების მინისტრის მოადგილე დედოფლისწყაროში

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს შეხვდა.

საუბრის დასაწყისში ლია გიგაურმა განათლების სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებსა და მათ შედეგებზე დეტალურად ისაუბრა. მან ასევე აუდიტორიას ის სიახლეები გააცნო, რაც ზოგადი განათლების მიმართულებით იგეგმება.

„განათლება ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია. ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ხელმისაწვდომობაა. ეს ევროკავშირის მოთხოვნაცაა. ამ მიმართულებით ეფექტური ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი ხარისხია. ამიტომაც, ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც განათლების სისტემაში გადავდგამთ, ხარისხზეა ორიენტირებული. მასწავლებლად საქმიანობის დაწყების და პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის სქემა იწვევს ძალიან დიდ ინტერესს, მოქმედ მასწავლებლებს აქვთ ძალიან ბევრი შეკითხვა, აქვთ რეკომენდაციები, ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ასეთი შეხვედრები ხშირად გაიმართოს. მოხდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და ვაჩვენეთ როგორი იქნება სამოტივაციო პაკეტი ხელფასებთან მიმართებაში, რაც პედაგოგებმა ძალიან მოიწონეს,“ — განაცხადა ლია გიგაურმა.

სამუშაო შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. პედაგოგებს საშუალება ჰქონდათ მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხები უშუალოდ მინისტრის მოადგილისგან მიეღოთ.

„მისასალმებელია, რომ სქემა გამარტივდა და პედაგოგებისთვის უფრო კომფორტული იქნება. ასევე საინტერესო იყო ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებთან დაკავშირებული პრეზენტაცია. შევეცდებით, განათლების სამინისტროს ყველანაირად გვერდით დავუდგეთ და განათლების ხარისხის ზრდაზე ვიზრუნოთ,“ - აღნიშნა მეორე საჯარო სკოლის პედაგოგმა მარინა შანშიაშვილმა.

„ეროვნული სასწავლო გეგმა დაიხვეწა. მნიშვნელოვანია, როცა მინისტრის მოადგილე ჩამოდის და პირადად გვაცნობს სიახლეებს, პასუხობს ჩვენს შეკითხვებს. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლია გიგაურს აქ ჩამობრძანებისთვის და შეხვედრისთვის,“ - აღნიშნავს ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორი ალიკო ნატროშვილი.

შეხვედრას კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და ადგილობრივი რესურსცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლის დირექტორების არჩევნები

რატომ არ დაუჭირა მხარი სამრეკლოს სკოლის საბჭომ ერთადერთ სერტიფიცირებულ კანდიდატს?!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 7 საჯარო სკოლაში დირექტორების არჩევნები გაიმართა. 1 დეკემბერს სოფელ სამრეკლოს გარდა, ექვს სკოლაში ახალი დირექტორი აირჩიეს. სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილ კანდიდატს, ნანული ჭიღიტაშვილს მხარი არ დაუჭირა, რის შედეგადაც სკოლამ დირექტორი ვერ აირჩია.

ქ. დედოფლისწყაროს №1 — ეთერ ოთარაშვილი — 13 მომხრე,

ქ. დედოფლისწყაროს №2 — ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი — 6 მომხრე,

გამარჯვების საჯარო სკოლა — ნინო სულიაშვილი-არაბული — 8 მომხრე,

ხორნაბუჯის საჯარო სკოლა — ნელი აფციაური — 7 მომხრე,

არხილოსკალოს საჯარო სკოლა — მაია სიმონიძე — 7 მომხრე,

არბოშიკის საჯარო სკოლა — მანანა ჭიღიტაშვილი — 6 მომხრე, 1 წინააღმდეგი,

სამრეკლოს სკოლა — ნანული ჭიღიტაშვილი — 2 მომხრე, 5 წინააღმდეგი.

ვითარების გარკვევა „შირაქმა“ თავდაპირველად სამრეკლოს სკოლაში სცადა. როგორც სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, ფიზიკის პედაგოგმა **ნინო ოზაშვილმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ფარულ კენჭისყრაში კანდიდატმა 2 ხმა მოაგროვა, 5 კი მისი წინააღმდეგი იყო. ჩვენ დავინტერესდით, რატომ არ დაუჭირა საბჭომ კანდიდატს მხარი, თუმცა მიზეზებზე კონკრეტული საუბარი არავინ ისურვა. კითხვა, რატომ აღმოჩნდა ეს კანდიდატი საბჭოსთვის მიუღებელი, ამ დრომდე უპასუხოდ რჩება. საბჭოს წევრ ერთადერთ მოსწავლესთან შეხვედრა „შირაქმა“ ვერ შეძლო, თუმცა ამბობენ, რომ არჩევნების დროს მოსწავლემ ღიად გამოხატა, რომ დირექტორობის კანდიდატს „ვეტო დაადო“.

„არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ალბათ საბჭოს წევრებმა ასე გადაწყვიტეს. მე პირადად ამ კანდიდატს დავუჭირე მხარი, მაგრამ კენჭისყრის პროცესი ყველასთვის ფარული იყო და ვერ გეტყვით, რატომ არ დაუჭირეს მხარი. ჩვეულებრივ დავთვალეთ ხმები, არანაირი შეფერხება ან დარღვევა არ ყოფილა და აღმოჩნდა, რომ კანდიდატს მხარდაჭერა არ აქვს...“- აღნიშნავს ნინო ოზაშვილი.

სამრეკლოს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხვა წევრები **ელიკო ზედელაშვილი** და **ეკატერინე ნატროშვილიც** ვერ აკონკრეტებენ, რატომ არ აქვს კანდიდატს მხარდაჭერა და რა არის უარის მიზეზი. თუმცა, ზედელაშვილი არ მალავს, რომ მეორე ხმა მისია და კანდიდატს თავად მხარი ნამდვილად დაუჭირა.

მოქმედი დირექტორი **მაია ნასრაშვილი** ამბობს, რომ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ სურს, რადგან არაფერში ჩარეულა და ამ თემაზე მისი შეფასებების დაფიქსირებას უადგილოდ მიიჩნევს. განსხვავებულ ვერსიებზე საუბრობენ კულუარებში. ამბობენ, რომ სამეურვეო საბჭო მოქმედი დირექტორის გუნდად მოიაზრება და ბუნებრივიცაა, რომ მის შენარჩუნებას ეცდებოდნენ და ახალ კანდიდატს მხარს არ დაუჭერდნენ. მითუმეტეს, რომ შემოთავაზებული კანდიდატურა ამ სკოლისთვის უცხო იყო და ეს მათში დაბნეულობას იწვევდა.

სამეურვეო საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილება გაუგებარია თავად დირექტორობის კანდიდატისთვისაც. ნანა ჭიღიტაშვილი ამბობს, რომ ასეთი შედეგი მოულოდნელი იყო. ნანული ჭიღიტაშვილი 2012 წლამდე ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის დირექტორი გახლდათ.

ნანული ჭიღიტაშვილი: „დილით კონცეფცია წარვადგინე, მხარდაჭერა ვთხოვე, რათა ერთად გვეზრუნა სკოლის გაძლიერებაზე და აღვნიშნე, რომ სამრეკლოს სკოლა კონკურენტუნარიანი გახდებოდა. მაქსიმალურად შევეცდებოდი ამ სოფლის ბავშვებს რაიონის სკოლებში აღარ ევლოთ. გასულ წლებში სამრეკლოს სკოლას მხოლოდ ფანჯრები და ჭერი შეუკეთდა. ვგეგმავდი, რომ რეაბილიტაციის მეორე ეტაპში ჩამესვა და ცენტრალურ გათბობაზე გადავსულიყავით. მათი მხრიდან იყო ღიმილი, რაც ჩავთვალე, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერის და კეთილგანწყობის დასტური იყო. კითხვები არ ყოფილა, რის შემდეგაც კოლეგებს წარმატებები ვუსურვე და შენობა დავტოვე. რამდენიმე წუთში დამირეკეს, გზაში გავიგე, რომ მხოლოდ 2 ხმა მივიღე. ეს ჩემთვის ნამდვილად მოულოდნელი და გაუგებარი იყო. სხვა კანდიდატიც რომ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, რომ მას დაუჭირეს მხარი. ახლა კი სერტიფიცირებული კანდიდატი მხოლოდ მე წარმადგინეს, ამიტომ არ ველოდი ამგვარ შედეგს, მითუმეტეს რომ კარგად მიმიღეს. მანამდე საბჭოს თავმჯდომარე რამდენიმე დღით ადრე თავად შემეხმიანა და აღნიშნა, რომ

(გაგრძელება გვ. 5)

იანვრიდან საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ახალი წესები ამოქმედდება

გვ.6

მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2015 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 25 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში.

შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!

ვუსურვოთ მხნეობა

გვ.4

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2015 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

„შირაქი“ ერთგულ მკითხველს სიურპრიზს სთავაზობს - ვისაც ოთხი და მეტი წლის განმავლობაში ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება გაზეთთან, წელიწადში ერთხელ 5 ლარის ღირებულების განცხადების უფასოდ გამოქვეყნების საშუალება მიეცემა.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

C M Y K

მთავრობის სხვადასხვა უწყებებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურმა განცხადება გაავრცელა საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით. ცვლილებები განხორციელდა უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის და ეკონომიკურ საბჭოებში. განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტს ჩაიბარებს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია. ის ასევე შეინარჩუნებს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობას. რომან ჩხენკელმა, რომელმაც საკმაოდ დიდი სამუშაო გაწია და შექმნა ეფექტური სტრუქტურა, არაერთხელ თავად ითხოვა ეკონომიკური საბჭოს მდივნის პოსტის დატოვება. პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა მისი ეს თხოვნა. რაც შეეხება გიორგი გახარიას, იგი 2 წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ბიზნეს სექტორთან, ერკვევა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში და კარგად იცის ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც დღეს ბიზნესს სახელმწიფოსგან სჭირდება.

მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრად გადასვლის შემდეგ, ვაკანტური იყო სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის თანამდებობა. ამ პოზიციას დაიკავებს დავით სუჯაშვილი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

საკადრო ცვლილებები სახელმწიფო სამსახურში ბუნებრივი პროცესია. ცვლილებები შეეხო ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ინფრასტრუქტურას მომავალი წლიდან ძალიან დიდი და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება მოუწევს, სამინისტროს ბიუჯეტი კი, მილიარდ ლარს შეადგენს, ზურაბ კოპაძის ნაცვლად, მინისტრის მოადგილის პოსტს დაიკავებს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს. მისი მრავალწლიანი გამოცდილება, ხელს შეუწყობს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას.

ამ დღეებში შეიცვალა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ეს პოზიცია დაიკავა ბატონმა ზაზა დოლიძემ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ბატონი კახაბერ სოლოღაშვილი. უახლოეს დღეებში დასახელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი.

ახალი, კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის წინაპირობაა. მუდმივი განახლება და სრულყოფა მიმართულია მთავრობის უფრო ეფექტურ მუშაობაზე და არის პასუხი ახალ გამოწვევებზე.

ქართუ ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

საკადრო ცვლილებები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსაც შეეხო, თუმცა მინისტრი დავით შავლიაშვილი თანამდებობაზე რჩება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, პოსტი მინისტრის მოადგილე ზურაბ კოპაძემ დატოვა. მათივე განმარტებით, აღნიშნულ თანამდებობას "ქართული ბანკის" პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი დაიკავებს.

"გამომდინარე იქიდან, რომ ინფრასტრუქტურას მომავალი წლიდან ძალიან დიდი და მასშტაბური სამუშაოების განხორციელება მოუწევს, სამინისტროს ბიუჯეტი კი, მილიარდ ლარს შეადგენს, ზურაბ კოპაძის ნაცვლად, მინისტრის მოადგილის პოსტს დაიკავებს ნოდარ ჯავახიშვილი, რომელსაც საზოგადოება კარგად იცნობს. მისი მრავალწლიანი გამოცდილება, ხელს შეუწყობს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას", - აღნიშნავენ პრემიერის პრესსამსახურში.

მთავრობის ადმინისტრაციის შეფასებით, კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის წინაპირობაა.

"ამ დღეებში შეიცვალა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი, ეს პოზიცია დაიკავა ბატონმა ზაზა დოლიძემ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ბატონი კახაბერ სოლოღაშვილი. უახლოეს დღეებში დასახელდება დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი.

ახალი, კვალიფიციური კადრები სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობის წინაპირობაა. მუდმივი განახლება და სრულყოფა მიმართულია მთავრობის უფრო ეფექტურ მუშაობაზე და არის პასუხი ახალ გამოწვევებზე", - განმარტავენ

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

რომში ქართველი ემიგრანტების მონაწილეობით კონცერტი გაიმართება

7 დეკემბერს ქ. რომში შერაპცჰიცუმ-ის საკონცერტო დარბაზში, (მისამართი: Via Del Serafico 1) 15 საათზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობა" მართავს საზეიმო კონცერტს: "ქართული პოლიფონია - კაცობრიობის საგანძური", რომლის ორგანიზებაში ასევე აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ ევროპის, ავსტრია-გერმანიისა და ბელგია-ჰოლანდიის ეპარქიები. კონცერტი მიზნად ისახავს ქართული მრავალხმიანობის, როგორც მსოფლიო სულიერებისა და კულტურის ხელთუქმნელი საგანძურის, ევროპელი მსმენელისთვის წარდგენას.

როგორც "ქართული გალობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე, ანსაბლ "რუსთავის" დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, ფონდის საბჭოს წევრმა ანზორ ერქომაიშვილმა განაცხადა, ღონისძიების ორგანიზებაში საქართველოსთან ერთად, კონცერტში მონაწილეობენ საქართველოს საპატრიარქოს ევროპის ეკლესიების სამრევლოებთან არსებული ქართული გუნდები ბრიუსელიდან, ფლორენციიდან, ბარსელონადან, დიუსელდორფიდან, მიუნხენიდან, პარიზიდან და რომიდან.

"კონცერტში მონაწილეობას მიიღენებ 7 ქვეყნის წარმომადგენელი გუნდები, რომელიც დაკომპლექტებულია ქათველი ემიგრანტებისაგან. ვფიქრობ, დიდი საქმე კეთდება, ვინაიდან ეს ღონისძიება პირველად ტარდება. მოგეხსენებათ, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემანულეები მძიმე შრომას ეწევიან, ამიტომ მათი სულიერების ამაღლებისათვის მსგავი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია.გარდა ამისა, ეს კონცერტი ქართულ სიმღერას, ცეკვასა და გალობას ევროპაში პოლუპარიზაციას გაუწევს" - განაცხადა არზორ ერქომაიშვილმა.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კონცერტი უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებში ტრადიციული ქართული გალობისა და სიმღერის პოლულარიზაციაში გარკვეულ წვლილის შეტანას ემსახურება. კონცერტი ასევე მიზნად ისახავს ქართული მრავალხმიანობის, როგორც მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საგანძურის, ევროპელი მსმენელებისთვის წარდგენას.

ფონდის აღმასრულებელმა დირექტორის ნანა გოთუას განცხადებით, , კონცერტში თითოეული გუნდი 3 სიმღერას შეასრულებს, რომელიც იქნება ტრადიციული ქართული გალობა და ხალხური სიმღერა. ყველა მონაწილე გუნდი ფონდისაგან სპეციალური პრიზით, ფონდის სიმბოლოთი დაჯილდოვდება.

კონცერტზე მიწვეული არიან საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

ფონდი „ქართული გალობა" საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით და მეცენატ ვანო ჩხარტიშვილის ინიციატივით 2012 წელს დაფუძნდა და მიზნად დაისახა ქართული კულტურის, ხელოვნების ტრადიციული დარგების და გამორჩეულად ქართული სიმღერა-გალობის მხარდაჭერა. ბოლო 2 წლის განმავლობაში ფონდმა უამრავი საკონცერტო, მხატვრულ-შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტი განახორციელა. რომში გასამართი საღამოც ერთ-ერთი მათგანია.

ზვიად ჯანყარაშვილი არც ერთ საჯარო თანამდებობაზე აღარ იმუშავებს

ზვიად ჯანყარაშვილი არც ერთ საჯარო თანამდებობაზე აღარ იმუშავებს. ამის შესახებ ნათქვამია პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" პრესსამსახურის განცხადებაში.

"პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელი მდივნის თანამდებობიდან ზვიად ჯანყარაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ზვიად ჯანყარაშვილმა დაკავებული თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ზვიად ჯანყარაშვილი აღარ ასრულებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოვალეობას, მას მუდმივად, პრემიერის ოჯახთან ნათესაობის გამო, სხვადასხვა სახის ბრალდებას უყენებდნენ.

იმისთვის, რომ საზოგადოებას აღარ დარჩეს კითხვები და ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ამ თემით სპეკულირება, ზვიად ჯანყარაშვილმა გადაწყვიტა დაეტოვებინა პარტიული თანამდებობაც. იგი არც ერთ საჯარო თანამდებობაზე აღარ იმუშავებს", -ნათქვამია განცხადებაში.

ზვიად ჯანყარაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის აპრილში გადადგა. ამის მიზეზად ჯანყარაშვილმა ის დაასახელა, რომ "არ სურს, აღნიშნულ თანამდებობაზე მისმა ყოფნამ უხერხულობა გამოიწვიოს და საზოგადოებას რაიმე სახის შეკითხვა დარჩენოდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან მისი ნათესაობის გამო".

შსს-დან წამოსვლის შემდეგ, ჯანყარაშვილი პარტიის აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა. რამდენიმე დღის წინ კი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანყარაშვილი შესაძლოა, უკრაინაში ელჩად დაინიშნოს, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერ ოფიციალურად არ დადასტურებულა.

ქართული ქვედანაყოფი ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს უერთდება

შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა" ასეულმა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვისთვის მზადება დაასრულა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ვაზიანის პოლიგონზე „ალფა" ასეულის საჩვენებელი სწავლება გაიმართა. ასეულის მომზადების დონე ქართველი სამხედროებისგან დაკომპლექტებულმა დამკვირვებელთა ჯგუფმა შეაფასა. ეროვნული შემფასებელთა ჯგუფის წინასწარი დასკვნით, ქვედანაყოფმა დაკისრებულ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და ნატოს წევრი ქვეყნების დანაყოფებთან ურთიერთთავსებადია.

საჩვენებელ სწავლებას გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მეთაური, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე, I ქვეითი ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი გიორგი შენგელია, ეროვნულ შემფასებელთა ჯგუფი, ასევე თავდაცვისა და თანამშრომლობის ოფისის (ODC) წარმომადგენლები დაესწრნენ.

იმიტირებული სცენარის მიხედვით, ერთ-ერთი ქვეყნის პროვინციაში ამბოხებულები ცენტრალურ ხელისუფლებას უფლებამოსილების განხორციელებაში უშლიან ხელს. რაიონში კონტროლის აღდგენის მიზნით, ქვეყნის მთავრობას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალები ეხმარებიან. ქართული ასეულის დაზვერვის მონაცემებით, ერთ-ერთი სოფლის შენობაში მტრულად განწყობილი ძალაა გამაგრებული, რომელსაც თვითნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერებების ე.წ. IED-ის დასამზადებელი ქარხანა და იარაღის საცავი აქვს მოწყობილი. ქართული ასეულის მეთაურობა კორდონისა და ჩხრეკის ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილებას იღებს.

2013 წლის აგვისტოდან დღემდე, საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის „ალფა" ასეულმა სწავლებები გაიარა როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში ჩატარებული ნვრთნები ნატოს ოპერატიული შესაძლებლობის კონცეფციის ფარგლებში მიმდინარეობდა. ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მომზადების დონის შეფასება აშშ-ის გაერთიანებული „მრავალეროვნული მზადყოფნის ცენტრში" (JMTC) განხორციელდა.

გერმანიაში გამგზავრებამდე, ასეულმა საქართველოში ინტენსიური მომზადება გაიარა. 10 თვის განმავლობაში მათ დაცვის, ჩხრეკის, წმენდისა და კორდონის, ასევე კონვოის ოპერაციები და დაშავებულთა ევაკუაციის პროცედურები შეისწავლეს.

სერგეი ლავროვი-რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობა სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობა, ეს არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე ვითარდება.

,,იტარ-ტასის" ცნობით, ამის შესახებ სერგეი ლავროვმა ბაზელში მიმდინარე ეუთო-ს მინისტერიალზე გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ახალი შეთანხმება არანაირ კავშირში არ არის ჟენევის მოლაპარაკებებთან.

"ის შეთანხმებები, რომელსაც აფხაზეთთან მოვაწერეთ ხელი, მათ შორის საზღვრის ერთობლივ დაცვასა და სამხედრო ბაზის შეთანხმებაზე, რეალურად ზრდის აფხაზეთის უსაფრთხოებას", - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ხე, რომელიც ელექტროენერგიას წარმოქმნის

ფრანგი ინჟინერების ჯგუფმა ხელოვნური ხე შექმნა, რომელსაც ქარის ელექტროენერგიად გარდაქმნა შეუძლია.

ახალი მოწყობილობა თითქმის უხმოდ მუშაობს და ელექტროენერგიას ჰაერის ოდნავ მოძრაობაზეც კი წარმოქმნის. "იდეა თავში იმ დროს მომივიდა, როდესაც უქარო ამინდში, ფოთლების შრიალს ვადევნებდი თვალყურს. ენერგიას ვიღებთ ჰაერიდან და გადაგვყავს ვატებში" - ამბობს ჭინდ თრეე-ის ავტორი ჟერომ მიშო-ლარივიერი, სტარტაპ კომპანიის დამფუძნებელი, რომელიც უკვე 2015 წელს ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერგიის გაყიდვებს გეგმავს. როგორც გაირკვა, ახალი მოწყობილობა ფოთლის ფორმის პლასტიკატებს იყენებს, რომლებიც ქარის ენერგიას ელექტროენერგიად აქცევენ. ამასთან, ქარის მიმართულება ზემოთ ნახსენებ პროცესზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს.

8 მეტრიანი ხის შექმნაზე ინჟინერებმა სამი წელი დახარჯეს. "ხე" ამჟამად საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთითაა განთავსებული. გამომგონებელი იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი "ხეები" ყველა ეზოს და ქუჩას დაამშვენებს.

კახეთის გუბერნატორმა მოსახლეობას 2 წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა

დღეს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კახეთის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისათვის'' ფარგლებში, ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

ირაკლი შიოლაშვილმა საზოგადოებას ის პროექტები გააცნო, რომელიც მისი გუბერნატორად ყოფნის პერიოდში განხორციელდა.

გუბერნატორის ინფორმაციით, 2014 წელს კახეთის რეგიონში 1200-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა:

„2014 წელს მოხდა 127 კმ საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია რომლის საერთო ღირებულებამ 45 მილიონი ლარი შეადგინა. მოეწყო 110 ჭაბურღილი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ათეულობით კილომეტრ წყლის სისტემებს, ასევე შეიქმნა წყლის ახალი სათავე ნაგებობები რისთვისაც კახეთის რეგიონის 7 მუნიციპალიტეტში 40 მილიონი ლარი დაიხარჯა''- განაცხადა ირაკლი შიოლაშვილმა.

მისივე განცხადებით, კახეთის რეგიონში გაშენდა 4 ათასი ჰექტარი ვენახი, ორგანიზებულად განხორციელდა ატმის მოსავლის დაბინავება და აშენდა 4 ახალი სასაზღვრო პუნქტი.

შეხვედრას, ასევე, პარლამენტის წევრები და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ, საზოგადოებას ბოლო 2 წელში განხორციელებულ პროექტებსა და გეგმებზე ესაუბრეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას თქმით, კახეთი წელს ყველაზე წარმატებული რეგიონია.

„ხაზი უნდა გავუსვათ წლევანდელ რთველს კახეთში, რომელიც იყო წარმატებული და ყველაზე დიდი შემოსავლიანი. გარდა ამისა 30-მდე ახალი საწარმო დაფინანსდა, შეიქმნა ბევრი სამუშაო ადგილი, გაშენდა ვენახები. მთლიან ჯამში კი ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რეგიონში და ეს მხოლოდ დასაწყისია,''- განაცხადა ოთარ დანელიამ.

თელავის მაჟორიტარი დეპუტატის, გელა სამხარაულის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, კიდევ დარჩა რიგი საკითხები მოსაგვარებელი:

,,ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. თელავში კიდევ ბევრი პროექტის დასრულებაა აუცილებელი, როგორც კულტურის და ძეგლთა დაცვის კუთხით, ასევე ინფრასტრუქტურის მიმართულებით,''- განაცხადა გელა სამხარაულმა.

გუბერნატორის მუშაობის ორწლიანი ანგარიშის წარდგენას აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, ნეკრესელი მიტროპოლიტი სერგი და ალავერდის ეპარქიის მღვდელმსახური დეკანოზი მიქაელიც ესწრებოდნენ.

ანექსია თუ რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი

რუსეთის ფედერაცია და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მთავრობა ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადიან. 24 ნოემბერს „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის" შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით აფხაზეთი რუსეთისგან ფინანსური დახმარების გაორმაგებას, მასთან საერთო თავდაცვისა და უსაფრთხო სივრცის შექმნას და თითქმის ყველა სფეროში მხარდაჭერას ელოდება, ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა კი ახალი ხელშეკრულებისგან ე.წ. სასაზღვრო პერიმეტრზე კონტროლის გამკაცრებას ელის: „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის" შესახებ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ხომ აფხაზეთ-სამეგრელოს ე.წ. სასაზღვრო ზოლზე ერთობლივი ზომების მიღებას ითვალისწინებს, მისი დაცვის მიზნით. დოკუმენტის სწორედ ეს პუნქტი აშინებთ ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც პიროვნული საზღვრის გადაკვეთა თითქმის ყოველდღე უწევთ. გალის რაიონის მცხოვრებლები შიშობენ – ახლა, როცა ხელშეკრულება ოფიციალურად შევიდა ძალაში, დე ფაქტო პრეზიდენტი დაპირებას შეასრულებს, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს შეამცირებს და საგუშაგოს მხოლოდ ენგურის ხიდზე დატოვებს.

დასავლეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მრავალჯერ დადასტურების ფონზე, საყოველთაო შეშფოთების მიუხედავად, რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების ანექსიის გეგმას. საუბარია „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებაზე", რომელიც რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკას შორის გაფორმდა. საქართველოს იმედი საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას უკავშირდება. როგორია თბილისის რეაქცია და რას ფიქრობენ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები?

კვლავაც უცვლელი და მტკიცეა საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, შეერთებული შტატების, პოზიცია. სახელმწიფო დეპარტამენტის საგანგებო განცხადებაში, რომელიც რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას მოჰყვა, ნათქვამია, რომ „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და ვაშინგტონი განაგრძობს საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას". აქვეა რუსეთისკენ მიმართული მესიჯიც:

„კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები: გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები კონფლიქტამდე დაკავებულ პოზიციებზე, გააუქმოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის — დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების გადაწყვეტილება და უზრუნველყოს ამ რეგიონებისთვის ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი ხელმისაწვდომობა".

ამავე შინაარსის მოწოდებებით რუსეთს მიმართა ნატომაც, რომელიც ასევე მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის მიერ გამოქვეყნებულ საგანგებო განცხადებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს რეგიონსა და რუსეთს შორის გაფორმებული ე.წ. ხელშეკრულება არ უწყობს ხელს საქართველოში არსებული სიტუაციის „მშვიდობიან და გრძელვადიან მოგვარებას" და რომ ეს ე.წ. დოკუმენტი უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ეუთოს პრინციპებსა და რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს".

ე.წ. ხელშეკრულებას გამოეხმაურა ევროკავშირიც. როგორც საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ფედერიკა მოგერინი აღნიშნავს თავის საგანგებო განცხადებაში, ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერა საზიანოა უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ძალისხმევისთვის რეგიონში. მისი თქმით, ეს ე.წ. დოკუმენტი, წინამორბედების მსგავსად, არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, რასაც ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს. ამასთან, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თქმით, ეს ე.წ. ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საერთაშიროსო სამართლის პრინციპებს და რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის, 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას.

საქართველოს ერთადერთ იმედად საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა რჩება. 25 ნოემბერს თბილისში იმართებოდა შეხვედრები საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრი თამარ ბერუჩაშვილიშეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებს შეხვდა. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოხატა შეშფოთება და კიდევ ერთხელ გამოკვეთა თბილისის პოზიცია, რომ დოკუმენტი წარმოადგენს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯს", რომელიც უარყოფითად აისახება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მდგომარეობაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს პარტნიორებისა თუ საერთარისო სტრუქტურების მაქსიმალურად ინფორმირების მიზნით. საგარეო უწყების ცნობით, მიმდინარეობს მუშაობა, რომ საქართველოს პრობლემა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე იქნეს განხილული.

საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს ერთიანი, შეთანხმებული მიდგომის შემუშავებას ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით. 24 ნოემბერს გახმაურებული ინიციატივის თანახმად, გიორგი მარგველაშვილი უახლოეს დღეებში დაგეგმავს შეხვედრებს პოლიტიკურ სპექტრთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თუ ექსპერტებთან. „მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური ძალების, საზოგადოების, მათ შორის ჩვენი დევნილი მოსახლეობის აქტიური ჩაბმულობით მოხდეს ერთიანი შეთანხმებული ხედვის ჩამოყალიბება, თუ რისი შეთავაზება შეუძლია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობისათვის დღეს, დასავლური ინტეგრაციის პირობებში", — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა ორშაბათს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე და ყველას მოუწოდა გაერთიანებული ძალისხმევით მოქმედებისკენ. კონსულტაციებისთვის მზადყოფნა უკვე გამოხატეს როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო პარტიებმა.

პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილი თვლის, რომ რუსეთის შემდგომი მოქმედებები სწორედ საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციებზე იქნება დამოკიდებული;

„არსებობს მხოლოდ ერთი ბერკეტი - საერთაშორისო აზრის მძლავრი მობილიზება, რომელიც, უკრაინაში გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, რუსეთს დააწვება ტვირთად. აქ არ არის საუბარი უბრალო თავის მართლებაზე — რუსეთს უნდა გაუჩნდეს შიში იმისა, რომ ეს ყველაფერი იმოქმედებს მის ეკონომიკაზე, მის საინვესტიციო კლიმატზე, იმოქმედებს კონკრეტულად ფასებზე რუსეთში, ეს ყველაფერი შეუქმნის რუსეთს იმიჯს, რომელიც არ მისცემს მას განვითარების საშუალებას და ა.შ. ეს არის ის გზა, რომლითაც ცდილობს საერთაშორისო თანამეგობრობა აიძულოს რუსეთი, რომ უკრაინა დატოვოს და ამას უნდა შეუერთდეს საქართველოც".

ვიდრე 24 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ხელს მოაწერდნენ „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" ხელშეკრულებას, ამ დოკუმენტის თავდაპირველმა ვარიანტმა, რომელსაც სახელად „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის" შესახებ ხელშეკრულება ერქვა, ძალიან შეაშფოთა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები. ეს იყო შიში ე.წ. სუვერენიტეტის ხელყოფისა და ეს შიში დღესაც არსებობს, რადგანაც დოკუმენტის ძირითადი არსი არ შეცვლილა და ის კვლავაც ითვალისწინებს რუსეთის პოზიციების გამყარებას მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში. იოლია იმის გაანალიზება, რომ 24 ნოემბერს ხელმოწერილი ე.წ. ხელშეკრულება ითვალისწინებს, მაგალითად: აფხაზეთის დე ფაქტო ადგილობრივი არმიის უფლებების შეზღუდვას რუსეთის შეიარაღებული ძალების სასარგებლოდ, ადმინისტრაციული საზღვრის მაქსიმალურად ჩაკეტვას ენგურზე და რუსეთ-საქართველოს საზღვრის გახსნას ფსოუზე. აქვეა უძრავი ქონების დატაცების საფრთხე, რაზეც დიდი ხანია უჭირავს თვალი რუსეთს.

გალის რაიონის ე.წ.დაბალი ზონის სოფლებიდან ენგურის ხიდამდე 20-დან 70 კილომეტრამდეა გასავლელი. ეს კი დამატებით, ფინანსურ ხარჯებთან ერთად, დროის სიმცირის პრობლემას ქმნის, რადგან ენგურის ხიდის გამშვები პუნქტი დილის შვიდიდან საღამოს შვიდ საათამდე მუშაობს.

ენგურის ხიდის გარდა, ამ დროისთვის აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის გადაადგილება შესაძლებელია ოტობაია-განმუხურის, ხურჩა-ნაბაკევის, საბერიო-ფახულანის და ოტობაია-ორსანტიის საკონტროლო-გამშვები პუნქტებით. ენგურის ხიდის გარდა, მგზავრები დანარჩენ სასაზღვრო პერიმეტრზე გადაადგილებას შემოვლითი გზითაც ახერხებენ. ეს ის დევნილები არიან, ვისაც საჭირო დოკუმენტაცია წესრიგში არ აქვს, კონტროლის გამკაცრების შემდეგ თითოეული მათგანი იძულებული იქნება ე.წ. აფხაზური პასპორტი აიღოს და ენგურის ხიდით გადაადგილდეს.ახლა მსგავსი პრობლემის წინაშე დგას ისტორიული სამაჩაბლოც.

სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოკავშირეობისა და პარტნიორობის შესახებ შეთანხმებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. არსებობს ცაკლეული წინადადებები, რომლებიც განიხილება. სააგენტო „რესის" ინფორმაციით, ამის შესახებ "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, რუს კოლეგებთან კონსულტაციები მიმდინარეობს. „ვაპირებთ, ყველა ნინადადება განვიხილოთ. უხლოეს პერიოდში მთელი რიგი დოკუმენტების შესწავლაა დაგეგმილი, რათა ახალ შეთანხმებაში ყველაფერი აისახოს, რაც აუცილებელია. ისეთი დოკუმენტი უნდა შემუშავდეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებსა და კონსტიტუციას შეესაბამება. ახალი დოკუმენტი საფუძველს რუსეთთან შემდგომი ურთიერთობის განვითარებას დაუდებს", - განაცხადა ლეონიდ თიბილოვმა.

ვუსურვოთ მხნეობა

3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეა. ეს დღე ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ და გავითავისოთ აზრი იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან მთელი თავისი სამყაროთი, უნარით, სურვილებით, ოცნებებით, გეგმებით. საზოგადოებამ თავად უნდა ისწავლოს, რომ ჩვეულებრივად მიიღოს ამ კატეგორიის ადამიანები, მათთან შეხვედრისას არ გამოხატონ ემოციები შებრალების, თანაგრძნობის, გაოცების, ცნობისმოყვარეობის გამო, რადგან არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები მაშინ, როცა ადამიანს არ აქვს არც ერთი კიდური, კბილებით ისვრის მშვილდ-ისარს და აქვს მიღწევები, როცა ყრუ-მუნჯები ცეკვავენ, შესანიშნავად უკრავენ სხვადასხვა ინსტრუმენტზე, როცა ავღანეთში ორივე ფეხდაკარგული ჯარისკაცი გინესის წიგნში შევიდა, რადგან ხელებზე აზიდვების მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა სამჯერ, დიახ, სამჯერ და არა სამით, როცა ორივე ხელის ამპუტაციის პირობებში ახალგაზრდა ფეხის თითებით წერს და ხატავს იდეალურად და სხვ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორ შეიძლება თქვა, შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში ადამიანი უუნაროაო. არა, მთავარია ნება, ნებისყოფა და გარემო ხელშეწყობისათვის. ეს გარემო კი, ბევრს არა აქვს, მით უმეტეს ჩვენს დღევანდელ ყოფაში: ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი სარეაბილიტაციო სამედიცინო ცენტრები, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით, კვალიფიციური სამედიცინო კადრით. ეს კი არა, მათ ელემენტარული გადაადგილების საშუალება არ აქვთ, ყველგან არ არის ტროტუარები, პანდუსები არ აქვთ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, არ არიან დაკმაყოფილებული ეკონომიური კუთხით, რაც ინვევს მათი მედიკამენტებით და რაციონული საკვებით უზრუნველყოფის შეზღუდვას. ეს ფართო მასშტაბის ღონისძიებებია, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობამ თავის თავზე უნდა აიღოს და მაქსიმალურად ეცადოს, გააუმჯობესოს შეზღუდული შესაძლებლობების მონე პირთა პირობები. ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოციალური სააგენტოს ინფორმაციით, სულ 576 უნარშეზღუდული ადამიანი ირიცხება.

მათ შორის 32 ბავშვია, I ჯგუფის ინვალიდი - 118, II ჯგუფის - 360, III ჯგუფის - 66. აქედან 27 ბავშვობიდან III ჯგუფის ინვალიდია. I ჯგუფის ინვალიდების სარგო თვეში 150 ლარია, 100 ლარს იღებენ II ჯგუფის ინვალიდები, უნარშეზღუდული ბავშვები და ბავშვობიდან III ჯგუფის ინვალიდები. ხოლო III ჯგუფის ინვალიდები - 70 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდი საპენსიო ასაკისაა, მას არჩევანის გაკეთება მოუწევს სოციალურ დახმარებასა და პენსიას შორის, რაც, ვთქვათ სიმართლე, უსამართლო შეთავაზებაა. ზოგადად კი, უსამართლობაა ისიც, როცა ყველა პენსიონერი - ინვალიდი, ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანი და სრულიად უსტაჟო პირი, რომელსაც არც ერთი დღე საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობა არ მიუღია, ერთნაირ პენსიას იღებს.

სამთავრობო ღონისძიებების პარალელურად ამ კატეგორიის ადამიანთა დასახმარებლად იბრძვიან არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორისაა „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის, რომლის თავმჯდომარე გახლავთ მაია კვეზერელი-კოპაძე. ეს ორგანიზაცია კავშირშია ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.უკვე ოთხი წელია, მათ შეფობა აიღეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზეც.მათი ძალისხმევით შემოტანილია ასზე მეტი ინვალიდის ეტლი, რომელიც საჭიროებისამებრ გადანაწილდა. მხოლოდ მიმდინარე-2014 წელს მათ მიერ შემოტანილია 25 ეტლი.

ამასწინათ რედაქციაში ზემო მაჩხაანიდან მოქალაქე მერაბ ტოკლიკიშვილმა დარეკა და გვითხრა:- მყავს 36 წლის დაბდებიდან ინვალიდი ვაჟი. მართალია, წინა წლებში მას ეტლი გადასცეს, მაგრამ ის უკვე მოძველებულია, გვიჭირს მისი მოხმარება და ახალ ეტლს ვსაჭიროებთ, რომლის მოტანაც, რატომღაც, შეფერხდა. იქნებ დაგვეხმაროთო.

როგორც გავარკვიეთ, გივი ტოკლიკიშვილს ზაფხულში ახალი ეტლი შესთავაზეს, მაგრამ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან ეტლს საყრდენი სახელურები დაბალი ჰქონდა, მან უარი განაცხადა ეტლის მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივით და ბატონი ვანო ნატროშვილის უშუალო ძალისხმევით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ გივი ტოკლიკიშვილს მისთვის მორგებული ეტლი გამოუგზავნა. ოჯახი გულწრფელ მადლობას უხდის ყველს, ვინც ამ პრობლემის მოგვარებაში მათ დაეხმარა.

დიახ, 3 დეკემბერია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღეა, მაგრამ, მოდით, ნუ დაველოდებით რაიმე თარიღს, გავითავისოთ, რომ ისინი ყოველდღე უნდა გვახსოვდეს ისე, როგორც თავი ჩვენი, ვიზრუნოთ ისე, როგორც საკუთარ თავზე და გავათბოთ მათი გულები სიყვარულით. ეს პათეტიკა არ გახლავთ, ეს გულწრფელი სურვილია. თითოეულ მათგანს კი ვუსურვოთ მხნეობა, რათა იბრძოლონ სიცოცხლისა და გამოჯანმრთელებისთვის.

ნაირა გორაშვილი

„ვსწავლობთ ბიბლიას“

ჩვენი მოსახლეობისთვის ცნობილია, რომ სულ ორიოდე თვის წინ საპატრიარქოს ინიციატივითა და მხარდაჭერით ქ. დედოფლისწყაროში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახ. დაწყებითი სკოლა გაიხსნა. საპატრიარქოს წიაღში სკოლების გახსნა პირველად 1991-92 წლებში დაიწყო. ამ სკოლების მთავარი პრინციპია, თითოეულ კლასში მოსწავლეთა მცირერიცხოვნება, შესაბამისად, ცოდნაზე ორიენტირებულობა და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი იდენტობის განხორციელება. სწორედ მოსწავლეთა მიერ რელიგიური ცოდნის საწყისების გაცნობას ემსახურებოდა 4 დეკემბერს "ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების" დღესთან დაკავშირებით სკოლაში გამართული ღონისძიება ფორმატით-"ვსწავლობთ ბიბლიას". კონკურსში პირველკლასელების გარდა ყველა მოსწავლე იყო ჩართული. იგი ორი ტურისგან შედგებოდა, თითოეული ტური კი ორ რაუნდად იყო დაყოფილი, მესამე ტურში ერთმანეთს გუნდის კაპიტნები შეხვდნენ პირისპირ. გუნდი"ლაშარი" და გუნდი "ალილო" მეორეკლასელებისგან იყო დაკომპლექტებული, გუნდი"მეტეხი" მესამეკლასელებისგან, ხოლო გუნდ"სამებას" მეოთხე კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ამავე სკოლის დირექტორი მაია ლაპიაშვილი, ეპარქიის წარმომადგენლები- მამა ნოე და მამა მიქაელი. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ სკოლის ფოლკლორული წრის მოსწავლეები პედაგოგ მაია ლეკიაშვილის ხელმძღვანელობით. ღონისძიება მოსწავლეთა ოვაციების ფონზე მიმდინარეობდა, ღელავდნენ მათი მხარდამჭერები და მშობლები. სკოლის დაარსებიდან მცირე დროის გასვლის მიუხედავად, განსაკუთრებული ცოდნა გამოამჟღავნეს ბავშვებმა რელიგიური საკითხების ირგვლივ. ბუნებრიავია, მათ ბევრი რამ ჯერ მექანიკურად აქვთ დაზეპირებული, თუმცა, ამას უკვე ითვისებს მათი სმენითი მეხსიერება და სულ ცოტა ხანში გონებაც გააცნობირებს მიღებულ ინფორმაციას, რაც სამომავლოდ მთლიანად აისახება იმ პრინციპებზე, რომელსაც საპატრიარქომ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში ამ სკოლების დაარსებით. კონკურსის დასასრულს შედეგიც ლოგიკური იყო, გაიმარჯვა გუნდმა "სამებამ", ანუ მეოთხეკლასელებმა, თუმცა, ამ გამარჯვებას "პირობითი" უწოდა თავად სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა, რომელმაც კიდევ ერთხელ მიულოცა მოსწავლეებს რელიგიური დღესასწაული და აღნიშნა, რომ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, ამის შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ მოეწყობა ანალოგიური კონკურსები და კიდევ უამრავი ღონისძიებისა თუ საგნობრივი ოლიმპიადიების მოწყობა დაანონსა.

"თქვენ ხართ ჩვენი მომავალი დღე და მომავალი თაობა, ბედნიერი ვარ ამ დღისათვის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყოფილიყოს თქვენი მფარველი"-ასე დალოცა ბავშვები მამა ნოემ, მას შემოუერთდა მამა მიქაელიც და პედაგოგებს და მოსწავლეებს ურჩია, სამომავლოდ მსგავსი ტიპის კონკურსებში სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც გამოიწვიონ. რჩევა ნამდვილად ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელი იყო, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ საპატრიარქოს ახლადგახსნილი სკოლის აღსაზრდელებს და პედაგოგებს.

ელზა ხარაშვილი

დედოფლისწყაროს არცერთ სკოლას გათბობის პრობლემა არ აქვს

დედოფლისწყაროს არცერთ სკოლას გათბობის პრობლემა არ აქვს — ამის შესახებ გაზეთ „შირაქს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა ლეკაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, დედოფლისწყაროს სამი საჯარო სკოლა ბუნებრივი აირით თბება.

„15-ვე საჯარო სკოლის ყველა საკლასო ოთახი თბება, არსად არ გვაქვს შეფერხება. მათ შორის სამი სკოლა ცენტრალური გათბობითაა უზრუნველყოფილი. ქალაქ დედოფლისწყაროს ორივე და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლები ბუნებრივი აირით მარაგდება და სისტემა გამართულად მუშაობს. დანარჩენი სოფლების სკოლები მომარაგებულია საშეშე მასალით და უნდა ითქვას, რომ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე მოქმედ არცერთ სკოლაში ამ მხრივ ხარვეზები არ არის," — აღნიშნავს თეა ლეკაშვილი.

ცნობილია, რომ ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს ზოგიერთ სკოლაში გათბობის პრობლემაა, რაც რიგ შემთხვევაში გაკვეთილების შემცირებას, ან ჩაშლას იწვევს.

სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება. როგორც „ინტერ-პრესნიუსს" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, პირველი სემესტრის სასწავლო პროცესი 29 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, არდადეგები კი 30 დეკემბერს დაიწყება. არდადეგები 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება. სასწავლო პროცესი 15 იანვრიდან აღდგება.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, არდადეგები საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლაში ერთდროულად გამოცხადდება და ყველა კლასს მოიცავს.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლის დირექტორების არჩევნები

რატომ არ დაუჭირა მხარი სამრეკლოს სკოლის საბჭომ ერთადერთ სერტიფიცირებულ კანდიდატს?!

(პირველი გვერდიდან)

კოლექტივს სურდა ჩემი პრეზენტაცია მოესმინა. ამ ნაბიჯის გამოც, ვფიქრობდი, რომ მათში ჩემდამი ინტერესი იყო. გეგმები შეფერხდა, თუმცა თუ მინისტრი ბრძანებით დამნიშნავს, ვეცდები ეს ცვლილებები განვახორციელო. რა თქმა უნდა, საკადრო ცვლილებებს არც ვგეგმავდი და არც ახლა დავგეგმავ. ხაზგასმით ვამბობ ამას. არავითარი საწინააღმდეგო არ მაქვს მოქმედი დირექტორის. პირიქით, ვაპირებ, ქალბატონ მაიას მაქსიმალურად ხელი შევუწყო და ბევრი საათი გავუნაწილო, რომ კმაყოფილი იყოს. კარგად მესმის, რომ ყველას უკან ოჯახი დგას და ვხვდები რა მიდგომაა საჭირო.“

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეა ლეკაშვილი გაზეთ „შირაქთან“ იმ პროცედურებს განმარტავს, დირექტორის არ ან ვერ არჩევის შემთხვევაში რომ უნდა ამოქმედდეს. ლეკაშვილი ამბობს, რომ მიუხედავად შედეგისა, მინისტრს უფლება აქვს, სერტიფიცირებული კანდიდატი დირექტორად დანიშნოს.

„შვიდი სკოლიდან მხოლოდ სამრეკლოს სკოლაში ვერ მოხერხდა დირექტორის არჩევა, რაც შეეხება შემდეგ პროცედურებს, სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას. ამჯერად, მინისტრს შეუძლია დისკრეციული უფლებამოსილებით დანიშნოს წარდგენილი კანდიდატი“ - აღნიშნავს თეა ლეკაშვილი.

დანარჩენ ექვს სკოლაში დირექტორი ხმათა უმრავლესობით და აბსოლუტური მხარდაჭერით აირჩიეს და პროცესმა ექსცესების გარეშე ჩაიარა.

როგორც დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ „შირაქს“ განუცხადა, საბჭოს ყველა წევრის ხმა მიიღო დირექტორობის კანდიდატმა ლალი იაკობიშვილმა, რომელიც ამავე სკოლის კურსდამთავრებული და თანამშრომელია.

ეთერ ალადაშვილი (**დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე**): „არჩევნების პროცესი მშვიდ და მყუდრო გარემოში წარიმართა. რა თქმა უნდა, სამეურვეო საბჭო დირექტორობის კანდიდატის მიმართ კეთილგანწყობილია. წინასწარ ვიცოდით მისი ხედვა, კომპეტენცია, შესაძლებლობები, ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასე რომ, ძალიან სასურველი კანდიდატია. საბჭოს შემადგენლობაში ექვსი წევრია. ერთი მშობლის ადგილი ვაკანტურია, რადგან მოსწავლემ ზედა საფეხურზე აინაცვლა და ვეღარ შევავსეთ. ექვსი წევრიდან ყველა გამოცხადდა და კანდიდატმა სრული მხარდაჭერით გაიმარჯვა.“

ლალი იაკობიშვილი-ჩერქეზიშვილი: „ჩემთვის ამ სკოლის ხელმძღვანელობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს სკოლა დავამთავრე და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც სწორედ აქ დავბრუნდი. სამეურვეო საბჭოს ჩემი ხედვა გავაცანი, სადაც ჩემი ძირითადი პრიორიტეტი იქნება სწავლების ხარისხისა და დისციპლინის გაუმჯობესება, რომ სკოლა კონკურენტუნარიანი იყოს. მინდა, ექვსწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, როცა აღარ ვიქნები დირექტორი, სკოლა კონკურენტუნარიანი გახდეს და მოსწავლეებმა ცხოვრებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ“.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში აღნიშნავენ, რომ არჩეული დირექტორები მუშაობას მას შემდეგ შეუდგებიან, რაც ოფიციალურად დარეგისტრირდებიან.

„სამეურვეო საბჭომ არჩევნების დოკუმენტაცია, დადგენილებები და ოქმები, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგინა, ისინი კანდიდატებს დაარეგისტრირებენ და სწორედ მას შემდეგ დაიწყებენ დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებას. ზოგადად, ჩვენი მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სერტიფიცირებული კადრების დეფიციტი ნამდვილად თვალშისაცემია. სხვა რაიონებში გაცილებით მეტი იყო. მაგალითად, სიღნაღში იმაზე მეტმა მოიპოვა დირექტორობის სერტიფიკატი, ვიდრე მოქმედი სკოლაა,“ - აღნიშნავს თეა ლეკაშვილი.

ცნობისთვის: ამ არჩევნებზე სამინისტრომ დედოფლისწყაროს სკოლებში რვა სერტიფიცირებული კანდიდატი წარადგინა, თუმცა გასულ თვეებში დირექტორობის უფლება დედოფლისწყაროდან ათმა კანდიდატმა მოიპოვა. ათიდან რვა წარადგინეს, მათგან ორი, **რევაზ ბაიაშვილი** და **ნათელა ბუთხუზი** სამინისტროს არცერთ სკოლაში არ წარუდგენია. სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლა კი ერთადერთია დედოფლისწყაროში, სადაც თანამდებობის დასაკავებლად ერთდროულად ორი კანდიდატი იბრძოდა. თუმცა, მაია ხუნაშვილმა სათანადო მხარდაჭერა ვერ მიიღო.

ილია მარტყოფლიშვილი

გამოფენა ხორნაბუჯში

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგის რუსუდან კიკილაშვილის ფოტო-გამოფენის მოწყობის შემდეგ ნამუშევრების წარდგენის სურვილი მის მოსწავლეებსაც გაუჩნდათ. მათი სურვილი პედაგოგმა განახორციელა და 25 ნოემბერს სოფელ ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მოსწავლეთა პერსონალური გამოფენა გაიმართა, სახელწოდებით: „ერთად გავაცილოთ შემოდგომა.“

ამჯერად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოთხი მოსწავლის: ლუკა ჯანიბეგაშვილის, აბრამ ახალაურის, ვახტანგ ბექაურისა და ლექსო ბუთხუზის ნახატები. ნორჩმა მხატვრებმა ძირითადად პეიზაჟები წარმოადგინეს.

ხელოვან მოზარდებს მეგზურობას თანაკლასელები უწევდნენ, მათ გააცოცხლეს დიდი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატები: „მეთევზე“, „მარგარიტა“, „გოგონა ბუშტით“, „მეეზოვე“ და სხვა.

დამთვალიერებლები სიხარულს ვერ ფარავდნენ და მათ პედაგოგს მადლობას უხდიდნენ, რათა მათ შვილებს შესაძლებლობა მიეცათ ფართო ასპარეზზე წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები.

„ამ ბავშვებში დიდ პოტენციალს ვხედავ. თუ არ იზარმაცებენ და ასე გააგრძელებენ, საკუთარ თავთან ბევრს იმუშავებენ, შესაძლოა, რომელიმე მათგანი დიდი მხატვარიც დადგეს,“ - აღნიშნა რუსუდან კიკილაშვილმა.

ბავშვებს წარმატებები უსურვა და გამოფენის გახსნის დღე მიულოცა მათმა პირველმა მასწავლებელმა ციური მოსულიშვილმა, კლასის დამრიგებელმა მარიკა პოპიაშვილმა. მან ოთხივე მოსწავლეს სიგელები გადასცა და მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს. მშობლების სახელით კი განსაკუთრებული მადლობა გამოუცხადა სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორს ქალბატონ ქეთინო მჭედლიშვილს და მის კოლექტივს, რომ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს ბავშვებს და მათ მიეცათ საშუალება ბუმბერაზი მხატვრის - ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გმირები ყოფილიყვნენ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანსიაზე ტესტირება 12 დეკემბერს ჩატარდება

დედოფლისწყაროსა და გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გრძელდება. კანდიდატებისთვის ტესტირების პროცესი 12 დეკემბერს გაიმართება. მეორე ეტაპი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შენობაში პარასკევს, 12:00 საათზეა დანიშნული. ტესტში შესულ საკითხებში გათვალისწინებულია არსებული საკანონმდებლო ცვლილებებიც.

შეგახსენებთ, რესურსცენტრის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი მიმდინარე წლის სექტემბერში უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც კონკურსი ხელახლა გამოცხადდა. კონკურსის პირველ ეტაპზე სამინისტროს პრესცენტრში აცხადებდნენ, რომ 15 განაცხადი იყო რეგისტრირებული. გასულ თვეში გაირკვა, რომ პირველად გამოცხადებული კონკურსი გამარჯვებულის გარეშე დასრულდა და მსურველთა განაცხადების მიღება ხელახლა გამოცხადდა.

რესურსცენტრის უფროსმა მიხეილ ბახუტაშვილმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც მიმდინარე წლის ივლისში, თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შედეგად დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატის მანდატი მოიპოვა. მოგვიანებით კი საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ილია მარტყოფლიშვილი

რა ელის ლარს?

ინფლაცია თუ დროებითი მოვლენა ქართულ ეკონომიკაში?!

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით, ერთმა ამერიკულმა დოლარმა 2 ლარს გადააჭარბა. ოფიციალური კურსისგან განსხვავდება როგორც ბანკების კომერციული, ისე სავალუტო ჯიხურებში დოლარის გადაცვლის კურსი. ოპოზიცია ეკონომიკური გუნდის გადადგომას მოითხოვს და მთავრობას გადამჭრელი ზომების მიღებას ურჩევს, ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ საგანგაშო არაფერია - ეკონომიკის სფეროში ექსპერტების შიშს საფუძველი არ გააჩნია და ლარის კურსი გარკვეული დროის განმავლობაში სტაბილური გახდება.

რას უნდა ველოდეთ, დაუბრუნდება თუ არა ლარის კურსი ძველ ნიშნულს და როგორ აისახა კურსის ცვალებადობა სამომხმარებლო ფასებზე?

ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საინფორმაციო დაფაზე წითლად ანთია: ერთი დოლარი - ერთ ლარი და 90 თეთრი. ეს მაშინ, თუ დოლარს ყიდით. თუ დოლარს ყიდულობთ, მაშინ ერთი ლარი და 92 თეთრი დაგჭირდებათ. ამ კურსისგან განსხვავებულია საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა კომერციული ბანკების კურსები. ლარის გაუფასურების პროცესი 2014 წლის ნოემბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძე ამბობს, რომ ლარი ძველ ნიშნულს, სავარაუდოდ, აღარ დაუბრუნდება, თუმცა დოლართან მიმართებით მისი კურსი აიწევს:

„ვფიქრობთ, რომ ლარი 1,80 ნიშნულს ისევ დაუბრუნდება. ინფლაციაც დღეს იმ პარამეტრებშია, რაც დაგეგმილი იყო, და ამიტომ ვფიქრობ, რომ უფრო მეტად კურსმა არ უნდა აიწიოს“.

მმართველ გუნდში ლარის კურსის ცვლილების საგარეო ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას. უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე, მაგალითად, აცხადებს, რომ ცვლილებების მიზეზებს მხოლოდ შიგნით არ უნდა ვეძებდეთ:

„მდგომარეობა რუსეთში, სომხეთსა თუ უკრაინაში - ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. იმავე უკრაინაში ჩვენგან უფრო მეტი ექსპორტი გადიოდა, რაც ბოლო დროს შემცირდა. შესაბამისად, შემცირდა ვალუტის შემოდინება. ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ჩაკეტილი წრეა, რომ ჩვენ გავატარებთ გარკვეულ ზომებს და ამით ყველაფერი გამოსწორდება. ცხადია, ვალუტის კურისის ცვალებადობა მეზობელ ქვეყნებში, მათი ეკნომიკური მდგომარეობა ჩვენსაზეც ზემოქმედებს“.

ლარის კურსთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს ტელეკომპანია „რუსთავი ორთან“ ინტერვიუში გამოეხმაურა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც. მან თქვა, რომ ის არ იზიარებს ექსპერტების შიშს ლართან მიმართებით:

„ექსპერტების მოსაზრებებს მე არ ვეთანხმები. მე შემიძლია ამ ექსპერტებს, რომელთაც ბიუჯეტთან დაკავშირებით ასეთი შიშები აქვთ, შევხვდე, მივაწოდო სტატისტიკური ინფორმაცია და დავარწმუნო ისინი, რომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, სულ ცოტა, არ ემსახურება ლარის სიმყარეს. ისინი მოსახლეობაში თესავენ პანიკას, რაც, სამწუხაროდ, ასევე ხელს უწყობს ლარის გაუფასურებას“.

გამოეხმაურა ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც. მან თქვა, რომ ის არ იზიარებს ექსპერტების შიშს ლართან მიმართებით:

„ექსპერტების მოსაზრებებს მე არ ვეთანხმები. მე შემიძლია ამ ექსპერტებს, რომელთაც ბიუჯეტთან დაკავშირებით ასეთი შიშები აქვთ, შევხვდე, მივაწოდო სტატისტიკური ინფორმაცია და დავარწმუნო ისინი, რომ მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, სულ ცოტა, არ ემსახურება ლარის სიმყარეს. ისინი მოსახლეობაში თესავენ პანიკას, რაც, სამწუხაროდ, ასევე ხელს უწყობს ლარის გაუფასურებას“.

ლარის კურსთან დაკავშირებით სწორი და ეფექტური პოლიტიკის გასატარებლად, საქართველოს მთავრობა სრულ კოორდინაციაშია ეროვნულ ბანკთან და რეგულარულად მართავს სამუშაო შეხვედრებს.

კონკრეტულ ღონისძიებებზე იმსჯელეს შეხვედრაზე, რომელიც პრემიერ—მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ეკონომიკური გუნდის წევრებთან და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან გამართა.

სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში შექმნილი აჟიოტაჟი უარყოფითად აისახება პროცესზე, ამიტომ მთავრობის მეთაურმა მოუწოდა მედიას და პოლიტიკურ პარტიებს, თავი შეიკავონ სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვისგან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ლარის კურსის არსებული მერყეობა სტაბილური ვალუტებისთვის დამახასიათებელი მერყეობის პარამეტრებში ჯდება. ეკონომიკური გუნდის ინფორმაციით, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე დოლარის კურსი გამყარებულია ყველა ძირითადი ვალუტის მიმართ, რაც თავისთავად აისახება ლარი-დოლარის კურსზე.

საქართველოს ხელისუფლება ატარებს თანმიმდევრულ პოლიტიკას, შესაბამისად, ფინანსურ სტაბილურობას და ლარის კურსს გრძელვადიან პერიოდში საფრთხე არ ემუქრება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ლარის გაუფასურების მიზეზებად როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს ასახელებს.

“ეროვნული ვალუტის გაუფასურებას აქვს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებით გამოწვეული მიზეზები. ბოლო 7 წლის განმავლობაში ისტორიულად გამყარებულ დოლართან ერთად ადგილზე გვაქვს შიდა სავალუტო შემოდინებების ძირითადი წყაროების შესუსტება. ამავე დროს, ჩვენი გათვლებით, ეს დისბალანსი უკვე აღმოფხვრილია და უკვე ასახულია ლარის გაცვლით კურსში. რაც შეეხება იმ პროცესებს, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით ბოლო დღეების განმავლობაში, ის დიდწილად გამოწვეულია ბაზრის მონაწილეების აჟიოტაჟური ქცევით, რაც ზოგადად დამახასიათებელია ამ დროს ფინანსური ბაზრებისთვის”, - განაცხადა გიორგი ქადაგიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე განმარტებით, ბაზრის ის მონაწილეები და მოქალაქეები, რომლებიც იღებენ ან მიიღებენ იმპულსურ გადაწყვეტილებებს კონვერტაციასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ყოველთვის ზარალდებიან.

“ყველა გაუფასურებას მოსდევს გამყარება, ამიტომ ბაზრის ის მონაწილეები და მოქალაქეები, რომლებიც იღებენ ან მიიღებენ იმპულსურ გადაწყვეტილებებს კონვერტაციასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ყოველთვის ზარალდებიან”, - აღნიშნა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, მათი მთავარი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. “როგორც წესი, ცენტრალური ბანკები არ აკეთებენ კომენტარს მოკლევადიანი ვალუტის ინფლაციის დროს, ვინაიდან სახეზეა მნიშვნელოვნად გაუარესებული ეკონომიკური მოლოდინები”, - აღნიშნა მან.

იანვრიდან საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ახალი წესები ამოქმედდება

საქართველოში მსხვილფეხა პირუტყვის გადასარეკი ტრასების პრობლემა კვლავ აქტუალურია. ცხვრებს და მწყემსებს მოძრაობა, ძირითადად, მანქანებთან ერთად უწევთ, რაც ძალიან პრობლემური და საშიშია.

„მანქანებს რომ შევეჩხირებით ბორბლებში, ისიც ჩვენი საწუხარია, ამ დროს პირუტყვიც ფრთხება და გზიდან უხვევს. მთაში ზოგან ისეთი ციცაბო ტრასებია, გვეშინია, ან ძროხა არ გადაიჩეხოს ხევში, ან მანქანა. მძღოლებიც ბრაზობენ - დროზე გაიარეთო. რამდენი ხანია მწყემსები საძოვრებზე გადასარეკი ტრასების მოწყობას ვითხოვთ, მაგრამ არა და არ გამოდის ეს საქმე...”- ამბობენ მწყემსები.

ამ საკითხზე არაერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილმა: „უცხოეთის ბაზრებზე ქართულ ცხვარზე მოთხოვნა წლიდან წლამდე მცირდება იმიტომ, რომ უამრავი პრობლემა მოუგვარებელია. საბოლოოდ, ცოცხალი პირუტყვის ფასი იზრდება. მაგალითად, ახლა 1 ცხვრის თვითღირებულება დაახლოებით 110 ლარია.“

დაბალი ფასის გამო, ქართული ცხვარი ნაწილობრივ სომხურმაც ჩაანაცვლა, რომელიც ბოლო წლებია, საქართველოდან რეექსპორტზე აქტიურად გადის.

„სომხებს ცხვარი საქართველოში ჩამოჰყავთ, ქართულად ასაღებენ და მის რეექსპორტს ირანსა და იორდანიაში ახორციელებენ. მიზეზი კი ის არის, რომ მეზობელ ქვეყანაში სერიოზული დაავადებები დაფიქსირდა და იქიდან ცოცხალი საქონლის შეყვანა ბევრ ქვეყანაში აკრძალულია“, - განმარტავს გონაშვილი.

2015 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არსებულ სეზონურ (საზაფხულო და საზამთრო) საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ — სანიტარიული წესები იცვლება. საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება 2014 წლის 2 დეკემბერს მიიღო.

დაზუსტდა, რომ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესებით მხოლოდ ცხოველთა სეზონურ საძოვრებზე გადარეკვის საკითხები მოწესრიგდება, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით ცხოველთა გადაყვანის მარეგულირებელი ნორმები გაუქმდება.

ცხოველთა სეზონურ საძოვრებზე გადარეკვის ვადები განისაზღვრება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ¬ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს გადარეკვის პერიოდში გადასარეკ ტრასებზე დროებითი ვეტერინარული საკონტროლო პუნქტების განლაგებას. გარდა ამისა, სააგენტო ორგანიზებას უკეთებს და ატარებს: გადასარეკი ცხოველების სულადობის კლინიკურ შემოწმებას გადამდები დაავადებების მიმართ კეთილსაიმედოობაზე; გადასარეკი ცხოველების გეგმურ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებსა და იმუნიზაციას, გადარეკვის დაწყებამდე არა უგვიანეს იმუნიტეტის ჩამოყალიბების ვადისა; ცხოველების გადარეკვის დაწყების წინ გადასარეკი ტრასების მიმდებარე ტერიტორიების შემოწმებას გადამდები დაავადებების მიმართ კეთილსაიმედოობაზე; ცხოველების გადარეკვის დაწყების პერიოდისათვის გადასარეკი ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოველების გადამდები დაავადების საწინააღმდეგო გეგმურ ვაქცინაციას და დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს. ასევე განისაზღვრა ცხოველთა მეპატრონეების ვალდებულებებიც: გადარეკვა განახორციელოს ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის (ვეტერინარული მოწმობა ¬ ფორმა №1) თანხლებით; ცხოველთა დაავადების გაჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს შესაბამის რეგიონულ სამმართველოს ან უახლოეს დროებით ვეტერინარულ საკონტროლო პუნქტს; არ დაუშვას გადამდები დაავადებით დაავადებული ცხოველის დაკვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ასევე, მკვდარი ცხოველის ლეშებით გარემოს დაბინძურება; ცხოველების გადარეკვის პერიოდისათვის გადასარეკ ტრასაზე უნდა მოეწყოს ცხოველთა დასასვენებელი მოედნები და წესრიგში იქნეს მოყვანილი დასარწყულებელი ადგილები.

გადასარეკი ცხოველების სულადობა გადარეკვის დაწყების წინ კლინიკურად მოწმდება უფლებამოსილი ვეტერინარის მიერ. კეთილსაიმედოობის დადგენის შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირი გასცემს ჯანმრთელობის სერტიფიკატს ცხვრის მთლიან ფარაზე, ხოლო მსხვილფეხა პირუტყვის ნახირის გადარეკვის დროს - მთლიანად ნახირზე, თანმხლებ ცხოველებთან ერთად.

ჯანმრთელობის სერტიფიკატის გარეშე ცხოველების გადარეკვა სეზონურ საძოვრებზე აკრძალულია, ასევე იკრძალება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ერთიან ფარაში (ნახირში) გადარეკვა.

სეზონურ საძოვრებზე მომთაბარე პირუტყვის ჯანმრთელობის მონიტორინგს და გეგმურ ვეტერინარულ ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს.

7 დეკემბერი (ახ. სტ.) - ხსენება წმიდა დიდმოწამე ეკატერინესი

7 დეკემბერს, ეკლესია წმინდა ეკატერინეს ხსენების დღეს აღნიშნავს. საეკლესიო სწავლების მიხედვით, წმიდა ეკატერინე დაიბადა ალექსანდრიაში, სახელგანთქმულ ოჯახში, გამოირჩეოდა გონიერებით, განსწავლულობითა და სილამაზით. ეკატერინემ განდეგილი ბერი გაიცნო, რომელმაც ღვთისმშობლის ხატი გადასცა და უთხრა, ევედრე და დაგეხმარება შენი შესაფერისი საქმროს პოვნაშიო. ღამით ეკატერინემ სიზმარში უცნაური ჩვენება იხილა. ანგელოზებით გარშემორტყმულ ზეციურ დედოფალს ხელთ ყრმა ეპყრა, რომელიც მზესავით ბრწყინავდა. ყრმას პირი მიებრუნებინა ეკატერინესგან და ქალწულმა ვერ შეძლო მისი სახის დანახვა. დედა ღვთისა ევედრებოდა თავის ძეს, ესწავლებინა ეკატერინესთვის, რა უნდა მოემოქმედებინა, რომ მისი სახის ხილვის ღირსი გამხდარიყო, მან კი მიუგო: "წავიდეს განდეგილთან და შეიტყობს მისგან".

ეკატერინე მეორე დღესვე გაიქცა ბერთან, მუხლებში ჩაუვარდა და რჩევა ჰკითხა. მაშინ ბერმა უქადაგა მას ქრისტიანობა. ეკატერინემ აშკარად დაინახა ქრისტიანობის უპირატესობა წარმართობასთან შედარებით, ირწმუნა ყოვლადწმიდა სამება და მოინათლა. შინ დაბრუნებული დიდხანს ლოცულობდა უფლის წინაშე. იმ ღამით, ძილში კვლავ იხილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყრმით ხელში. ახლა ყრმა მოწყალედ უყურებდა ქალწულს. ღვთისმშობელმა ეკატერინეს მარჯვენა ხელი აიღო, ყრმამ კი თითზე ბეჭედი შეაცვა და უთხრა: "ნუ ეძებ მიწიერ სასიძოს". ეკატერინე მიხვდა, რომ ამიერიდან იგი ქრისტეს სასძლო იყო და უდიდესი სიხარულით აღივსო. ამ დღიდან ქალწული სრულიად შეიცვალა, გახდა თავმდაბალი, თვინიერი და მოწყალე.

მალე ალექსანდრიაში იმპერატორ დიოკლეტიანეს თანამმართველი მაქსიმიანე ჩამოვიდა და შეკრიბა ხალხი, რათა წარმართული ღვთაებებისთვის თაყვანი ეცათ. წმინდა ეკატერინე უშიშრად წარდგა მეფის წინაშე, დაგმო კერპების თაყვანისცემა და მაქსიმიანეს გაქრისტია-ნებისკენ მოუწოდა. განრისხებულმა მაქსიმიანემ წმინდანი საპყრობილეში ჩააგდო და ქურუმები მიუჩინა, რომელთაც წმინდა ეკატერინე "გონს უნდა მოეყვანათ". მაგრამ ეკატერინეს სიბრძნის წინაშე ქურუმები უძლურნი აღმოჩნდნენ. საპყრობილეში წმინდანი მაქსიმიანეს მეუღლემ, ავგუსტამ მოინახულა, რომელსაც ეკატერინემ ქრისტიანობა უქადაგა და მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

მაქსიმიანემ წმინდანის წამება გადაწყვიტა, მოატანინა ბორბალი, რომელსაც ალესილი დანები ჰქონდა დაკრული და ბრძანა ამ საშინელი იარაღით დაესერათ ეკატერინეს სხეული, მაგრამ დაიწყო თუ არა წამება, ბორბალი გატყდა და ეკატერინე უვნებელი დარჩა. წამებისას ეკატერინეს ავგუსტა გამოესარჩლა, რის გამოც განრისხებულმა მაქსიმიანემ სიკვდილით დასაჯა მეუღლე. მეორე დღეს მეფემ ცოლობა შესთავაზა ეკატერინეს და ყოველგვარ სიკეთეს დაჰპირდა, რაზედაც უარი მიიღო. მაშინ მაქსიმიანემ ბრძანა, წმინდანისთვის თავი მოეკვეთათ. აღსასრულის წინ წმიდა ეკატერინემ შემდეგი ლოცვა წარმოთქვა:

- უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო! მადლობელი ვარ შენი, რომ მოთმინების ლოდზე დასდევ ფერხნი ჩემნი და წარმართე სვლანი ჩემნი. აწ გამომიწოდე უწმიდესი ხელნი შენნი ოდესღაც ჯვარზე მიმსჭვალული და მიიღე ჩემი სული, მსხვერპლად მოძღვნილი შენი სიყვარულისთვის. გაიხსენე, უფალო, რომ მე ხორცი და სისხლი ვარ და არ დაუშვა, რომ სასტიკმა განმკითხველებმა საშინელ სამსჯავროზე უმეცრებაში ჩადენილი ჩემი ცოდვები წარმოაჩინონ. არამედ განბანე ისინი სისხლით, რომელსაც დავსთხევ შენთვის და ქმენ, რომ ეს სხეული, შენი გულისთვის ტანჯვისგან ნაიარევი და მახვილით განკვეთილი, იყოს უხილავი ჩემი მტრებისა და მდევნელებისაგან. მოხედე, უფალო, შენი სიმაღლიდან დამსწრე ადამიანებს და გაუნათე გონება შენივე შეცნობისათვის, მიუტევე მათ, რომლებიც ჩემი მეო-ხებით მოუხმობენ შენ წმიდა სახელს და აღავსე სიკეთით, რათა ყველანი უგალობდნენ შენს დიდებას უკუნითი უკუნისამდე.

ლოცვის დამთავრებისას წმიდანმა ჯალათს მიმართა, აღესრულებინა განაჩენი.

მაშინ ჯალათმა მოჰკვეთა პატიოსანი თავი ეკატერინეს და ჭრილობიდან სისხლის ნაცვლად რძემ გადმოსჩქეფა. მისი პატიოსანი ნაწილები კი, როგორც იქ მყოფმა მორწმუნეებმა იხილეს, იმწამსვე აიტაცეს წმიდა ანგელოზებმა და გადაიტანეს სინას მთაზე სადიდებლად ქრისტე ღმერთისა, რომელიც თანა მამით და სულიწმიდითურთ ერთ ღვთაებად სუფევს უკუნითი უკუნისამდე. ამინ. ეს მოხდა 304 წელს. მოგვიანებით, წმინდა ეკატერინეს ნაწილები სინას მთაზე მოხვდა, სადაც დღემდეა დასვენებული მისსავე სახელობის მონასტერში.

როგორ მოქმედებს ალკოჰოლი, ჩაი, ყავა, რძე მილებულ წამლებზე

წამლის მოქმედება დაფუძნებულია მის ურთიერთქმედებაზე ორგანიზმის მოლეკულებთან. თუ წამალს დავლევთ სხვადასხვა სითხის საშუალებით, მიმდინარე რეაქციის ხასიათი შეიძლება პრინციპულად შეიცვალოს.

ალკოჰოლი. ეთილის სპირტი ცვლის უჯრედის მემბრანის შეღწევადობას. ამის ხარჯზე, ყველა წამლის ეფექტი, ისევე, როგორც გვერდითი მოვლენები, გარდა ანტიბიოტიკებისა, ძლიერდება. იმედი ნუ გვექნება, რომ ამით შესაძლებელი იქნება ძვირადღირებული წამლის დოზირების შემცირება. ღვიძლზე დატვირთვა ძლიერდება და ძალიან სწრაფად აღწევს საშიშ ზღვარს.

ლუდი, მათ შორის უალკოჰოლო, შეიცავს ღვიძლის ფერმენტების მოქმედების დამამუხრუჭებელ ნივთიერებებს. ამის გამო წამალი უფრო ნელა გადამუშავდება, რაც ასევე ზრდის დოზის გადაჭარბების რისკს.

არსოდეს შეურიოთ ალკოჰოლი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. ამან შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავისა და ღვიძლის ფუნქციონირების მხრივ. კატეგორიულად აკრძალულია ანტიდეპრესანტების მიღება ალკოჰოლით. ამ შემთხვევაში უარყოფითი მოქმედება შეეხება არა მარტო ღვიძლს, არამედ ტვინსაც.

გრეიპფრუტის წვენი. ამ წვენის დაყოლება წამალზე კატეგორიულად არ შეიძლება. ის მოქმედებს ფერმენტ CYP3A4-ზე. ეს ნივთიერება აქტიურია ღვიძლისა და ნაწლავების უჯრედებში. ნაწლავში ფერმენტი წამალს შეწოვაში ეხმარება. გრეიპფრუტის წვენი თრგუნავს CYP3A4 მუშაობას, რის გამოც, წამალი მუშაობს ნაკლებ ეფექტურად.

გრეიპფრუტის წვენი არღვევს ღვიძლში წამლის მოქმედი ნივთიერების გადამუშავების პროცესს. ფერმენტების მუშაობას არღვევს ასევე, ფორთოხალი და ბროწეული. თავისთავად გრეიპფრუტის წვენი ძალიან სასარგებლოა, მისი რეგულარული მიღებით ქვეითდება ათეროსკლეროზული ფოლაქების ჩამოყალიბება. მაგრამ გრეიპფრუტის წვენის დალევა არ შეიძლება სტატინებთან, ანტიდეპრესანტებთან, კრუნჩხვის საწინააღმდეგო, ანტიჰისტამინურ, ჰორმონალურ პრეპარატებთან ერთად.

რძე - სასარგებლო პროდუქტია. მასში კალციუმის, მაგნიუმის და რკინის იონების დიდი შემცველობაა. სწორედ ეს იონები შეიძლება შეკავშირდნენ ანტიბიოტიკების მოლეკულებთან და დაქვეითდეს მათი წვდომა ორგანიზმისადმი. ამიტომ ანტიბიოტიკების დალევა რძით არ შეიძლება.

რძის შემცველობაში არსებული ფერმენტი ქსანტინოქსიდაზა თრგუნავს ზოგიერთი სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატის მოქმედებას. სამაგიეროდ, ტკივილგამაყუჩებლისა და სიცხის დამწევი საშუალებების მიღება რძით სასარგებლოც არის. რძე ამცირებს მათ უარყოფით მოქმედებას კუჭის ლორწოვან გარსზე. ცხიმში ხსნადი ვიტამინები (A, D, E, K) ასევე რძის გარემოში კარგად გრძნობენ თავს.

ჩაი - შეიცავს ტანინს. ის ქმნის მჭიდრო კავშირს ბევრ იონთან, ამიტომ ირღვევა რიგი მიკროელემენტების შეწოვა. კერძოდ, ჩაი არ უნდა დავაყოლოთ რკინის პრეპარატებს. ჩაი მსუბუქად ასუსტებს ფერმენტ CYP3A4 მუშაობას, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე გრეიპფრუტის წვენი.

ყავას - იგივე ეფექტი ახასიათებს, რაც ჩაის, გარდა ამისა ის შეიცავს კოფეინს. ამ სასმელით ცხადია არ შეიძლება საძილე საშუალებების მიღება, ხოლო ტკივილგამაყუჩებლები უფრო დიდხანს მუშაობს, თუ მას ყავით დავლევთ.

არითმიის საწინაარმდეგო, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დასარეგულირებელი და ჰიპოტენზიური საშუალებები არ შეიძლება ყავასთან ერთად მივიღოთ. რადგანაც კოფეინი მაღლა წევს წნევას და აძლიერებს გულისცემას.

ორალური ჰორმონალური კონტრაცეპტივები და კოფეინი ღვიძლში ერთიდაიგივე ფერმენტებით გადამუშავდება. ქალის ორგანიზმი, რომელიც ხანგრძლივად იღებს ჩასახვის საწინაარმდეგო საშუალებებს, ნელა გადაამუშავებს კოფეინს, რის ხარჯზეც ყავის ყოველი ფინჯანის მოქმედება ხანგრძლივდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლელა ბილიაშვილს და ანატოლი ლატარიას დედის
თალიკო ლატარიას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლელა ბილიაშვილს დედამთილის
თალიკო ლატარიას
გარდაცვალების გამო.

როგორ უნდა მოიქცეთ გულის შეტევის დროს, თუ მარტო ხართ

ხშირად ხდება ისე, რომ გულის შეტევა ემართებათ ადამიანებს, მაშინ, როდესაც ისინი სრულიად მარტონი არიან. თუ მოულოდნელად შეამჩნევთ, რომ თქვენი გულისცემა „არასწორია“, გახსოვდეთ რომ 10 წამი გაქვთ იქამდე, სანამ გონებას დაკარგავთ.

შეტევების ყველა მსხვერპლს შეუძლია თავად დეახმაროს საკუთარ თავს. ამისათვის, აუცილებელია, დაიწყოთ ხველა - ბევრჯერ და ძლიერად. დახველებამდე კი, ღრმად ჩაისუნთქეთ. ხველა უნდა იყოს ღრმა და ხანგრძლივი.

ჩასუნთქვა-ამოსუნთქვები და ხველა ყოველ 2 წამში ერთხელ უნდა მეორდებოდეს შესვენებების გარეშე, მანამ, სანამ სასწრაფო დახმარების ბრიგადა არ მოვა, ან გული თავად არ ჩაგიდგებათ ნორმაში.

ღრმა ჩასუნთქვა ჟანგბადს ფილტვებში შესვლის საშუალებას აძლევს, ხველა კი „კუმშავს“ გულს და სისხლის ცირკულაციას უწყობს ხელს. გულზე ასეთი ზეწოლა ასევე ეხმარება მას ნორმალური რიტმის აღდგენაში.

ამგვარად, გულის შეტევების დროს ადამიანებს შეუძლიათ დრო მოიგონ ექიმის მოსვლამდე.

კარდიოლოგების განცხადებით, ყოველი ადამიანი 10 მეგობარს მაინც რომ უზიარებდეს ამ ინფორმაციას, მინიმუმ ერთი სიცოცხლის გადარჩენა მაინც მოხერხდებოდა.

„კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ გაკოტრების რეჟიმიდან გამოდის

“კახეთის ენერგოდისტრიბუცია” გაკოტრების რეჟიმიდან ამოდის და მიმდინარე დავალიანებების გასტუმრებითა და ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებითაა დაკავებული. კომპანიის ცნობით, პროგრამა საშუალო ვადიან გეგმაზეა გაწერილი და საკუთარი შემოსავლებით ისინი ქსელის მოდერნიზების და ქსელის რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ჯერ კვლავ გაკოტრების რეჟიმშია, მათ უკვე მიაღწიეს იმ მაჩვენებლებს, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანის საკითხი დადგეს.

კომპანიაში ვერ აკონკრეტებენ როდისთვის მოესწრება მათი რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანა, თუმცა აღნიშნავენ, რომ შესაბამის პირობებს ყველა პარამეტრით უკვე აკმაყოფილებენ - ვალებს აღარ იგროვებენ და მიმდინარე დავალიენებებს ემსახურებიან. კომპანია თავისი შემოსავლებით ქსელში ტექნიკურ სამუშაოებს და რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს.

მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით კი “კახეთის ენერგოდისტრიბუციას”, მომწოდებლების მიმართ 4.5 მილიონის დავალიანება ჰქონდა, რაც ამ დროისთვის ფაქტობრივად აღარ აქვს.

წესით, სემეკის ინფრმაციით, კახეთის ენერგოდისტრიბუციის ტარიფი საინვესტიციო გეგმის თანხების გათვალისწინებით 2015 წლის 1 იანვარს უნდა შეეცვალოს, რისთვისაც კომპანიას მარეგულირებელში განცხადება არაუგვიანეს 3 თვით ადრე უნდა შეეტანა.

თუმცა, ჯერ—ჯერობით ტარიფების გადახედვასთან დაკავშირებით სემეკში განცხადება არ არის შესული, რასაც კომპანიაშიც და სემეკშიც ადასტურებენ.

ულოცავენ!

ლევან მარტყოფლიშვილს!
თაკო ბეგაშვილს!

გილოცავთ პირველი ვაჟიშვილის დაბადებას. ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოაკლდეს პატარა **ცოტნეს**, დიდი და სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს მშობლების და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აკვანთა სიმრავლეს და ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ.

პატივისცემით, ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

თამაზ ყარაგვეზაშვილს!

თამაზ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ პირადსა თუ პროფესიულ საქმიანობაში წინსვლას და გამარჯვებებს. შენი დაუღალავი შრომა და ენთუზიაზმი ყოველთვის დასაფასებელი იყო. უფლის წყალობით დაფასდი კიდეც. შენ საზოგადოებას უკვე უთხარი შენი სიტყვა სპორტში მიღწეული წარმატებით, შენი ნამონაფარებით უამრავ გამარჯვებას ითვლი. არაერთხელ ასახელე შენი რაიონი და საქართველო, მსოფლიოს ტატამზე არაერთხელ აა-ფრიალე საქართველოს დროშა, ეს პატარა საქმე როდია. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს შენი საქმით და შენი ოჯახით.

შენი ოჯახი

ჯუმბერ უთრუთაშვილს!

ბატონო ჯუმბერ, გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ კიდევ მრავალი წელი გეცოცხლოთ და თქვენი ლექსებით გაგეხარებინოთ ჩვენი რაიონის საზოგადოება. მუდამ დაფასებული და ღმერთისგან დალოცვილი ყოფილიყავით!

გაზეთ „შირაქის” რედაქცია

ლევან და გია (შმაგი) ოზბეთელაშვილებს!

ლევანს!

ერთი ვარსკვლავი მინათებს
გზებს,
სხვა ვარსკვლავთ შორის მას
ვცნობ და ვარჩევ,
იგი ღიმილით მიგზავნის
სხივებს,
მეალერსება, მკურნავს და მარ-
ჩენს;
ეს შენ გეკუთვნის, ჩემო ლევანი,
მე კარგად ვიცი, რომ მოგიხდება
განათლებული, კეთილი და
ჰატიოსანი
შენი მშობლების გაზრდილი,
სხვანაირი არც მეგულება.

ჩემო ძმისშვილიშვილო, ლევან, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყველაფერ კარგს და ბედნიერ მომავალს. შენთან ერთად დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს შვილს გია(შმაგი) ოზბეთელაშვილს, თქვენ ხომ ერთ თვეს და ერთ რიცხვში დაიბადეთ, ეს იყო შვიდი დეკემბერი. ჩემო გია, გისურვებ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს შენს საყვარელ და ლამაზ ოჯახთან ერთად.

ლევანის პაპიდა, გიას (შმაგის) დედა
ქეთევან ოზბეთელაშვილი.

კომაროვის საშაბათო სკოლა დედოფლისწყაროშიც იხსნება

თბილისში საშაბათო სკოლის ათწლიანი წარმატებული ფუნქციონირების შემდეგ, კომაროვის სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ეს პროექტი გააფართოვოს და რეგიონის მოსწავლეებსაც შესთავაზოს.

იმის მიუხედავად, რომ კომაროვის სკოლა თბილისში მდებარეობს იგი მთელი საქართველოს ნიჭიერი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მოგეხსენებათ, რომ კომაროვის სკოლას აქვს კეთილმოწყობილი პანსიონი, რომელშიც მუდმივად რეგიონიდან 100-ზე მეტი საუკეთესო მოსწავლე ცხოვრობს და განათლებას კომაროვის სკოლაში იღებს სრულიად უფასოდ.

კომაროვის სკოლისთვის რეგიონებთან ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია, ძალიან ბევრი წარმატებული მოსწავლე თუ კურსდამთავრებული სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები არიან. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ საშაბათო სკოლის რეგიონში გახსნა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ნიჭიერი ბავშვის აღმოჩენასა და მომავალში მათ წინსვლას.

საშაბათო სკოლა უკვე გაიხსნა ადიგენის , თერჯოლის, ზესტაფონის ,სამტრედიის, ვანის, რუსთავის, ხაშურის, თელავის, ბათუმის, ხობის რაიონებში. ახლა საშაბათო სკოლას დედოფლისწყაროშიც ვხსნით. საშაბათო სკოლა განკუთვნილი იქნება მათემატიკური ნიჭით დაჯილდოვებულ მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასელ მოსწავლეთათვის.

გაკვეთილებს ჩაატარებენ „კომაროვის“ მიერ შერჩეული კვალიფიციური პედაგოგები. გაკვეთილის ხანგრძლივობა იქნება 3 საათი, და ჩატარდება კვირაში ერთხელ (შაბათს ან კვირას). გაკვეთილები ძირითადად შეეხება „კომაროვის“ შაბათის სკოლაში აპრობირებულ კლასგარეშე საკითხებს, რომლებიც აზროვნებაზე და ლოგიკაზეა დაფუძნებული. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს ექნებათ სამი შემაჯამებელი წერა, რომელთაგან ბოლოს წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხებიან „კომაროვში“.

სწავლის საფასური იქნება თვეში 40 ლარი.თუ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ დედმამიშვილები, ერთი იხდის სრულ თანხას დანარჩენები კისაფასურის ნახევარს;შაბათის სკოლაში ჩარიცხული წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ 50% ფასდაკლებით.

შაბათის სკოლის პირველი ჯგუფების სასწავლო პროცესი დაიწყება 2014 წლის 13 დეკემბერს. ახალი ჯგუფები დაემატება 30 დეკემბრამდე ნებისმიერ ეტაპზე, ჯგუფში 12 მოსწავლის რეგისტრაციის შემთხვევაში.

რეგისტრაციისთვის მიმართეთ კომაროვის შაბათის სკოლის რეგიონულ კოორდინატორს „კომაროვის“ ოფისში მისამართზე: **დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა N45, წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლის შენობა.** ტელ: 577 243012

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ბუნებრივი აირით გათბობაზე გადავიდა

წლების მანძილზე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ზამთრის სეზონზე შეშით თბებოდა, რაც დღევანდელ პირობებში ძალიან პრობლემატურია და მოგეხსენებათ, არასასიამოვნო პროცესი გახლავთ. ამასთან, მუზეუმის თანამშრომლები მხოლოდ ერთ პატარა ოთახში იყრიდნენ თავს, სადაც ღუმელი ენთო, ხოლო დანარჩენი ოთახები, საცავები და მუზეუმის ექსპონატების დარბაზები ნესტში და სიცივეში გაუსაძლის პირობებს უმკლავდებოდნენ. ერთი კვირის წინ, ეს წინააღმდეგობა საბოლოოდ აღმოიფხვრა ამ ორგანიზაციაში. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამიერიდან ბუნებრივი აირით გათბობა ექნება. მუზეუმის თანამშრომლები მადლიერებას გამოხატავენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ კი, მათი უშუალო ხელმძღვანელის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის თამარ თამაზაშვილის მიმართ. თანამშრომელთა თქმით, სწორედ ამ სამსახურის ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებაა, რომ მუზეუმმა ამ პრობლემას თავი დააღწია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს ლომის წილი მიუძღვით რაიონის კულტურულ ცხოვრებაში და ჩვენი საგანძურის მოფრთხილება - შენახვაში, რისთვისაც მადლობის ღირსია იქ მომუშავე თითოეული თანამშრომელი. წარმატებებს ვუსურვებთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და კვლავ არაერთი ლამაზი საღამოს მასპინძლები გამხდარიყვნენ.

ლალი მეხრიშვილი

გიორგი ნატროშვილის ტრიუმფი

30 ნოემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა ჩემპიონატი - საქართველოს პირველობა კიკბოქსინგში. შეხვედრაში მონაწილეობას მთელი საქართველოს მასშტაბით ნაკრები გუნდები იღებდნენ. დედოფლისწყაროდან ამ ჩემპონატზე ზემო მაჩხაანელმა გიორგი ნატროშვილმა მიიღო მონაწილეობა, რომელმაც შეხვედრა ნოკაუტით მოიგო და ტურნირის ჩემპიონი გახდა. გიორგი ნატროშვილის მწვრთნელი გახლავთ გენადი ნატროშვილი. ვულოცავთ გიორგის და მის პედაგოგს ამ წარმატებას და კვლავ უამრავ გამარჯვებას ვუსურვებთ.

ლალი მეხრიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 08.12	სამშაბათი 09.12	ოთხშაბათი 10.12	ხუთშაბათი 11.12	პარასკევი 12.12	შაბათი 13.12	კვირა 14.12
დღე	8°	13°	10°	13°	10°	12°	8°
ღამე	1°	3°	6°	6°	5°	7°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K